<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსის 112-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 112. საზღვაო ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევა

გემის პორტში შესვლისა და პორტიდან გამოსვლის, საპორტო წყლებში, მოძრაობის გამყოფ სისტემაში, სპეციალურ დერეფანში გემის მოძრაობისა და დგომის წესების, აგრეთვე გემში მგზავრთა ჩასხდომის, მგზავრობის და გემიდან გადმოსხდომის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს გემის კაპიტნის დაჯარიმებას მისი შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

2. კოდექსის 114-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 114. ნავსადგურში დატვირთვის, გადმოტვირთვისა, ტვირთის დაწყობის და შენახვის წესების დარღვევა

1. ნავსადგურში დატვირთვის, გადმოტვირთვისა და ტვირთის, მათ შორის სახიფათო ტვირთის დაწყობის და შენახვის წესების დარღვევა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

3. ნავსადგურის მიერ ისეთი სატვირთო ოპერაციის განხორციელება, რომელიც არ არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით, -

გამოიწვევს, თითოეულ ნავმისადგომზე, ნავსადგურის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

5. ნავსადგურის ტერიტორიაზე ტვირთის დასაწყობების აკრძალვის წესების დარღვევა, მათ შორის:

ა) საწყობებში, ბაქნებსა და ნავთობტერმინალებზე/გაზის ტერმინალზე -
ბ) აკრძალულ ზონაში -
გ) მისაბმელი ტუმბებისა და ბრიდელების, ფარნის ბოძის, გეოდეზიური ქსელის ნიშნების, ჭერის, სახანძრო ამწეების, სახანძრო სიგნალიზაციისა და/ან ელექტროჩასართველების ირგვლივ, აგრეთვე სადრენაჟო სისტემების ჭებზე (შტაბელებად ტვირთის დაწყობა დასაშვებია განსაზღვრულ ადგილებთან არანაკლებ 2 მეტრის დაშორებაზე) -
დ) საწყობის სამუშაო პერიმეტრიდან არანაკლებ 4 (ოთხი) მეტრის დაშორებაზე და საწყობში სხვადასხვა სახეობის ტვირთს შორის ნორმებით დადგენილ გასასვლელებში -
ე) წყალგაყვანილობის, სატრანსპორტო და ელექტროკაბელის ტრასებზე -
ვ) 2 (ორი) მეტრზე ნაკლები დაშორებით უახლოესი სარკინიგზო ლიანდაგიდან ან/და 3 (სამი) მეტრზე ახლოს ნავმისადგომის ნაპირიდან -
ზ) გზებზე, ფეხითმოსიარულეთა და ტრანსპორტის გასასვლელებზე, სახანძრო ავტოტუმბოებთან და სხვა -
თ) საჰაერო ელექტროგაყვანილობის, მაღალი ძაბვის გაყვანილობისა და სატელეფონო სადენების ან ტელეგრაფის ქსელის ქვეშ -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

6. ნავსადგურის მიერ სახიფათო ტვირთთან დაკავშირებული სატვირთო ოპერაციების განხორციელება შესაბამისი ტექნოლოგიური რუკის/სქემის გარეშე ან/და არსებული ტექნოლოგიური რუკის/სქემის დარღვევით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

8. ნავსადგურში გადმოტვირთვა-დატვირთვისას, სატვირთო ოპერაციების წარმოების ტექნოლოგიური რუკის ნავსადგურთან შეუთანხმებლობა -

გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

9. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს შესაბამისიპირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

3. კოდექსის 114³ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 114³. საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესების დარღვევა

1. ნავსადგურის მიერ ნავსადგურის ტერიტორიაზე ფიზიკურ და იურიდიული პირებისთვის ან/და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის „საქართველოს საზღვაო კოდექსით“ განსაზღვრული შესაბამისი პირობების შექმნის ვალდებულების დარღვევა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 40 000 ლარის ოდენობით.

3. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსგან შესაბამისი გაფრთხილების მიღების შემდეგ, ნავსადგურის მიერ სერტიფიცირებულ სალოცმანო სამსახურთან სალოცმანო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაუფორმებლობა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

4. ნავსადგურში არსებული ნავმისადგომების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობა -

გამოიწვევს თითოეული ნავმისადგომისათვის ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

5. შესაბამისი ნავსადგურის აკვატორიაში ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღების სამუშაოთა წარმოება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს თანხმობის გარეშე -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

6. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 40 000 ლარის ოდენობით.

7. ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის მიერ, შესაბამისი ნავსადგურის აკვატორიაში ზღვაში ჩაძირული ქონების ამოუღებლობა, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში, -

გამოიწვევს ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

8. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

9. ნავსადგურის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოების/ორგანიზაციების მიერ, ნავსადგურის ტერიტორიაზე მოქმედი ნავსადგურის წესების დარღვევა -

გამოიწვევს საწარმოს/ორგანიზაციის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

10. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს საწარმოს/ორგანიზაციის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

11. ნავსადგურში მოქმედი საბუქსირე გემის მფლობელის/ოპერატორის მიერ, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსის - ნავსადგურის კაპიტნის მიერ ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მცურავი ერთეულის ან ტვირთის უსაფრთხოების, ასევე ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვის პრევენციისათვის გაცემული სავალდებულო მითითების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს საბუქსირე გემის მფლობელის/ოპერატორის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

12. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს საბუქსირე გემის მფლობელის/ოპერატორის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

13. სასიგნალო რაკეტებისა ან/და სხვა სასიგნალო საშუალებების (პიროტექნიკის) ნავსადგურის ტერიტორიაზე გამოყენება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა -

გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

14. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას - 1000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 114^{6} - 114^{16} მუხლები:

„მუხლი 114^{6}. ნავსადგურის **მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საზღვაო უშიშროების წესების დარღვევა**

1. ნავსადგურის უშიშროების ოფიცრის მიერ საზღვაო უშიშროების გეგმის შემუშავების, განახლების, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის წარდგენის, დანერგვისა და პერიოდული შემოწმების წესების დარღვევა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

3. ნავსადგურის უშიშროების ოფიცრის მიერ საზღვაო უშიშროებასთან დაკავშირებული სწავლებისა და წვრთნების ჩაუტარებლობა, ნავსადგურის უშიშროების საკითხებში ნავსადგურის უშიშროების პერსონალის პრაქტიკული და თეორიული წვრთნის სავალდებულო ღონისძიებების განუხორციელებლობა, აგრეთვე, ნავსადგურის უშიშროების რეგულარული ინსპექტირების ჩაუტარებლობა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

4. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

5. ნავსადგურის უშიშროების ოფიცრის მიერ სანავსადგურე ერთეულისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, ტერიტორიის შიგნით არსებულ შეზღუდულ ზონებზე, ნავსადგურში მყოფ გემებსა და გემების გარშემო სივრცეებზე უწყვეტი მონიტორინგის შეუსრულებლობა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

6. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვვეს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

7. ნავსადგურის მიერ საზღვაო უშიშროების გეგმით გათვალისწინებული შეზღუდული ზონებით სარგებლობის ან ბანერების განთავსების წესის დარღვევა -

გამოიწვევს თითოეულ შემთხვევაზე ნავსადგურის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

8. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს თითოეულ შემთხვევაზე ნავსადგურის დაჯარიმებას - 4 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

მუხლი 114[7]. სანავსადგურე ობიექტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საზღვაო უშიშროების წესების დარღვევა

1. სანავსადგურე ობიექტის უშიშროების ოფიცრის მიერ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის საზღვაო უშიშროების გეგმის შემუშავების, წარდგენისა და განხორციელების წესის დარღვევა -

გამოიწვევს სანავსადგურე ობიექტის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს სანავსადგურე ობიექტის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

3.სანავსადგურე ობიექტის უშიშროების ოფიცრის მიერ, უშიშროების პერსონალის წვრთნის, ასევე სანავსადგურე ობიექტის უშიშროების ინსპექტირების ჩაუტარებლობა -

გამოიწვევს სანავსადგურე ობიექტის დაჯარიმებას 2 500 ლარის ოდენობით.

4.იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს სანავსადგურე ობიექტის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

მუხლი 114[8]. გემის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესების დარღვევა

1. გემის მიერ, საზღვაო უშიშროების წესების დარღვევისთვის სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გაფრთხილების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს გემთმფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. გემის ნავსადგურში შესვლა მთავარი ან დამხმარე ძრავების, ორთქლის ქვაბების მუშაობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული საწვავის აირების ჰაერში გამოსაბოლქვი ტრაქტის /მილების შიდა კედლებზე დარჩენილი დაუმწვარი საწვავის ნაწილაკების შემცველი მურისაგან გაუწმენდავი და გაუსუფთავებელი აღჭურვილობით -

გამოიწვევს გემის კაპიტანის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

3. გემის კაპიტნის მიერ:

ა) სატვირთო და საბალასტო ოპერაციების ორგანიზების წესების დარღვევა, რომლის შედეგად გემს შეეზღუდა ნავსადგურიდან უსაფრთხოდ გასვლა ნაოსნობისათვის არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებში ან სამაშველო ოპერაციის ჩასატარებლად -

ბ) ბორტს მიღმა ამწეების, ისრების, ტრაპების, კანჯოების და სხვა მოწყობილობების განთავსება -

გ) ღამის საათებში, გემის ნავსადგურში შესვლა/გასვლის და სატვირთო ოპერაციების სათანადო განათების გარეშე წარმოება -

დ) გემის მაქსიმალურად დასაშვები წყალშიგის წარმოების მოთხოვნების დარღვევა -

გამოიწვევს გემის კაპიტნის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

4. ნავსადგურში შემსვლელი/გამსვლელი გემისთვის სვლაგეზის (კურსის) ჩახერგვა, მისი თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, ქიმის წინ კურსის გადაკვეთა და დაგეგმილი მანევრირების ნებისმიერი შეზღუდვა -

გამოიწვევს მცურავი საშუალების მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით,

5. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს მცურავი საშუალების მფლობელის დაჯარიმებას - 10 000 ლარის ოდენობით.

6. თხევადი საწვავის გემში ჩასხმა, თუ გემში საბუნკერე და მებუნკერე გემის მიერ არ იქნა ჩატარებული საწვავის ჩასხმისათვის მოსამზადებელი პრევენციული ღონისძიებები ან რომელიმე ხანძარსაქრობი სტაციონარული სისტემა გაუმართავია ან გემზე მიმდინარეობს შედუღებასთან დაკავშირებული სამუშაოები -

გამოიწვევს მცურავი საშუალების მფლობელის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

7. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს მცურავი საშუალების მფლობელის დაჯარიმებას - 10 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 114[9]. გემის უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების დარღვევა

1. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშით მცურავი გემის გემთმფლობელის ან გემის ოპერატორის მიერ გემის უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს გემთმფლობელის დაჯარიმებას - 10 000 ლარის ოდენობით.

2. შიდა ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშით მცურავი გემის გემთმფლობელის ან გემის ოპერატორის მიერ გემის უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს გემთმფლობელის დაჯარიმებას - 5000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 114[10]. ნავსადგურის მიერ ნავსადგურის ტერიტორიაზე სამუშაოთა ორგანიზების, სწავლებისა და ინსტრუქტაჟის წესების დარღვევა

1. ნავსადგურის ტერიტორიაზე სამუშაოთა ორგანიზების, სწავლებისა და ინსტრუქტაჟის წესების დარღვევისთვის სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გაფრთხილების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 114[11]. ნავსადგურის მიერ ნავსადგურის ტერიტორიის ან/და აკვატორიის სანიტარიული პირობების დაუცველობა

1. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსგან შესაბამისი გაფრთხილების მიღების შემდეგ, ნავსადგურის მიერ, ნავსადგურის ტერიტორიის ან/და აკვატორიის ინფრასტრუქტურაზე სანიტარიული პირობების დაუცველობა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი

დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 114[12]. შიდა ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის ინსპექტირებისა და შემოწმების განმახორციელებელი აღიარებული ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილების და ფუნქციონირების წესის დარღვევა

1. აღიარებული ორგანიზაციის ისეთი ქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოეწვია გემის, ქონების, გარემოს ან ტვირთის დაზიანება -

გამოიწვევს აღიარებული ორგანიზაციის დაჯარიმებას - 20 000 ლარის ოდენობით.

2. აღიარებული ორგანიზაციის მიერ იმ დოკუმენტის გაცემა, რომელზეც სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს არ მიუნიჭებია შესაბამისი უფლებამოსილება -

გამოიწვევს აღიარებული ორგანიზაციის დაჯარიმებას 25 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 114[13]. სალოცმანო სამსახურის საქმიანობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა

1. სალოცმანო მომსახურების დროს მომხდარი საზღვაო ინციდენტის შესახებ ინფორმაციის სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობა -

გამოიწვევს ლოცმანის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. სალოცმანო მომსახურებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების საექსპლუატაციო ვარგისობისა და მათი პარამეტრების შემოწმება, ასევე, დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნების დარღვევით -

გამოიწვევს სალოცმანო სამსახურის დაჯარიმებას - 5 000 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს სალოცმანო სამსახურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

4. ლოცმანის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ხელსაწყოების გამოყენების გარეშე

გამოიწვევს სალოცმანო სამსახურის დაჯარიმებას - 500 ლარის ოდენობით.

5. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს სალოცმანო სამსახურის დაჯარიმებას -1000 ლარის ოდენობით.

6. ლოცმანის მიერ, ნარკოტიკული, ალკოჰოლური სიმთვრალის შემოწმების ვალდებულების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს ლოცმანის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

7. სალოცმანო კატარღის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა -

გამოიწვევს სალოცმანო სამსახურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

8. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს სალოცმანო სამსახურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

9. ბუქსირების გემთან მუშაობის წესების დარღვევა/შეუსრულებლობა -

გამოიწვევს ლოცმანის დაჯარიმებას - 5 000 ლარის ოდენობით.

10. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ლოცმანის დაჯარიმებას -10 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

მუხლი 114[14]. გემის აგენტის მიერ გემის ნავსადგურში შესვლის ან/და ნავსადგურიდან გასვლის გაფორმების წესის დარღვევა

გემის აგენტის მიერ, გემის ნავსადგურში შესვლის ან/და ნავსადგურიდან გასვლის შესახებ დოკუმენტაციის, ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურისთვის დადგენილი ფორმით ან/და დადგენილ ვადაში წარუდგენლობა -

გამოიწვევს გემის აგენტის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

მუხლი 114[15]. ნავსადგურის/ტერმინალის მიერ საზღვაო უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევა

1. ნავსადგურის მიერ, ნავსადგურში გემის შემოყვანისა და ნავმისადგომზე დაყენების მოთხოვნა, როდესაც ნავმისადგომი არ არის მზად გემის მისაღებად,

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. ნავსადგურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად საჭირო სიღრმეების მონიტორინგისა და მათი შენარჩუნების ვალდებულების დარღვევა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

4. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

5. ნავსადგურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად შესასვლელი არხის საჭირო სიღრმეების მონიტორინგისა და მათი შენარჩუნების ვალდებულების დარღვევა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას - 10 000 ლარი.

6. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას - 20 000 ლარი.

7. ნავსადგურის ტერიტორიაზე, თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა:

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

8. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

9. ნავსადგურის ტერიტორიაზე შავი და ფერადი ლითონების ჯართის ჟანგბად-აეროვანი ჭრა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა ან/და შავი და ფერადი ლითონების ჯართის ჟანგბად-აეროვანი ჭრა, იმ პირთა მიერ, რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

10. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

11. ნავსადგურში, გემის ნავმისადგომზე დაყენებისას, როდესაც სანავსადგურე ამწის ისრები ცდება ნავმისადგომის ფარგლებს ზღვის მხარეს ან/და სატვირთო ოპერაციის დასრულების შემდეგ სანაპირო ამწის ისრების მოუბრუნებლობა ნაპირის მხარეს, ისეთი ფორმით რომ ისინი არ ცდებიან ნავმისადგომის კიდეს -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

12. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

13. ნავსადგურში, გემის ნავმისადგომზე დაყენებისას, ნავმისადგომზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის გემის მიმბმელების არ ყოფნა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

14. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

15. ნავსადგურში, გემის ნავმისადგომზე დაყენებისას, გემის მიყენების ადგილის სათანადო გაუნათებლობა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

16. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

17. სატვირთო ოპერაციის დასრულების შემდეგ ელევატორის მილების ისე განლაგება, რაც ხელს უშლის გემის დაყენებას (მიბმას) გადაყვანას ან/და ტაკელაჟისა და სატვირთო საშუალებების აულაგებლობა, ასევე, მათი განთავსება დადგენილი წესის დარღვევით -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

18. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

19. სატვირთო ოპერაციების დასრულების შემდეგ, სატვირთო ოპერაციების ადგილის ნარჩენისგან გაუწმენდაობა,

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

20. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

21. სატვირთო ოპერაციების მიმდინარეობისას ან მათი დასრულების შემდეგ, ნავმისადგომიდან ნარჩენების ზღვაში და ნავმისადგომის სადრენაჟო სისტემაში ჩაყრა/ჩარეცხვა -

გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

22. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -
გამოიწვევს ნავსადგურის დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

23. ნავსადგურის ტერიტორიაზე მდებარე ნავთობ/გაზის ტერმინალზე;
ა) სტაციონარული საჰაერო მექანიკური ქაფსაქრობი სისტემების გაუმართაობა/არ არსებობა;

ბ) სახანძრო საგუშაგოების, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით აღუჭურვილობისა და და პირველადი ხანძარსაქრობი საშუალებების არ ქონა;

გ) ცენტრალური (წყლის) გათბობის სისტემის გაუმართაობა ან ჩანაცვლება შეუსაბამო გათბობის სისტემით;

დ) სატელეფონო კავშირისა და სახანძრო სიგნალიზაციის გაუმართაობა;

გამოიწვევს ნავთობ/გაზის ტერმინალის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

24. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავთობ/გაზის ტერმინალის დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

25. ნავსადგურის ტერიტორიაზე მდებარე ნავთობ/გაზის ტერმინალზე:

ა) ელექტროგანათების წესების დარღვევა;

ბ) ნავმისადგომის აღჭურვის მოთხოვნების დარღვევა (ლითონით შემოუჭედავი ხის ან რეზინის ამრიდი მოწყობილობები არ ქონა);

გ) ნებისმიერი ტარისა და აღჭურვილობის დაწყობა -

დ) თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა, გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა,

ე) ღია ცეცხლთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება ნავთობტერმინალის/გაზის ტერმინალის მთელ ტერიტორიასა და ნავმისადგომთან მდგომ გემზე -

გამოიწვევს ნავთობ/გაზ ტერმინალის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

26. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავთობ/გაზ ტერმინალის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

27. ნავსადგურის ტერიტორიაზე მდებარე ნავთობტერმინალი/გაზის ტერმინალის ტეროტორიაზე, ისეთი ავტოტრანსპორტისა და სარკინიგზო თბომავლების ექსპლუატაცია, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო კონსტრუქციის ცეცხლსაქრობი და ნაპერწკალსაქრობი მოწყობილობა,

გამოიწვევს ნავთობ/გაზ ტერმინალის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

28. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს ნავთობ/გაზ ტერმინალის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

29. სანავსადგურე წყლებში საყვინთი სამუშაოების ჩატარება ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხეველობისა და და კონტროლის სამსახურისათვის სათანადო შეტყობინების გარეშე, ან ამ სამუშაოთა დროს სიგნალების მიცემის წესების დაუცველობა, –

გამოიწვევს საყვინთ სამუშაოებზე უშუალოდ პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

მუხლი 114[16]. იახტკლუბის მიერ ნავსადგურის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა

1. იახტკლუბის მიერ ნავსადგურის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა

გამოიწვევს იახტკლუბის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს იახტკლუბის დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.“

6. **კოდექსის 212-ე მუხლის :**

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ ამ კოდექსის 44-ე მუხლის (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 112-ე, 113-ე, 114-ე, 114^{3}, $114^{4,}$ 114^{6}-114^{16} მუხლებით, 115-ე მუხლის (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) , 128-ე მუხლის (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 129-ე მუხლის (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 130-ე და 131-ე მუხლებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) და 178^{1} მუხლით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.“

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ნავსადგურის კაპიტანს უფლება აქვს, ამ კოდექსის 129-ე მუხლის (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) და 130-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმის გადახდევინების მიზნით საჯარიმო ქვითარი გამოწეროს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შეუდგენლად, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის მისთვის დადებულ ადმინისტრაციულ სახდელს.“

7. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 47^{3}-ე ნაწილი:

„47^{3}. ამ კოდექსის 44-ე მუხლის (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 113-ე, 114^{3}, $114^{4,}$ 114^{6}-114^{16} მუხლებით, 131-ე მუხლით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) და 178^{1} მუხლით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტორს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილი პირები. “

მუხლი 2.

ამ კანონის პირველი მუხლის ამოქმედებამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უზრუნველყოს „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შევსების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცება“.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**